პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 188 (10274) | ოთხშაბათი, 10 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას (1-ლი გვერდი).

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე (1-ლი გვერდი).

წარმატებით შევასრულოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი (მე-2 გვერდი).

ბ. სალუქვაძე. — მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის (მე-2 გვერდი).

ვ. გურგენიძე. — მოსავალი ავიღოთ სწრაფად და უდანაკარგოდ (მე-3 გვერდი).

ვ. გოზალიშვილი, გ. ხეჩუაშვილი. — ალაზნის ველზე (მე-3 გვერდი).

ლენინგრადში ჩავიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაცია (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა საბრძოლო პროგრამა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებამ მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ, ხოლო შემდეგ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1955 წლის 29 ივლისის დადგენილებამ ამავე საკითხზე ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებში.

საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად მრეწველობის მუშაკები — მეშახტეები, ლითონდამამუშავებლები, მეტალურგები, მაღაროელები, ენერგეტიკოსები და მრეწველობის ყველა დარგის საწარმოთა კოლექტივები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ იმის აღნიშვნას, რომ 1955 წლის დამლევისათვის ჩვენში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1940 წელთან შედარებით გადიდდება 150 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება იმავე წელთან შედარებით გადიდდება ოთხჯერ და უფრო მეტად, მარგანეცისა — ერთიორად, ლითონსაჭერელი ჩარხებისა — თითქმის ხუთჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება — 179 პროცენტით, ხოლო იმ სადგურების სიმძლავრე, რომლებიც ახლა შენდება რესპუბლიკაში, მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ამჟამად მოქმედი ელექტროსადგურების სიმძლავრეს.

საქართველოს მშრომელებს მტკიცედ აქვთ შეგნებული, რომ ეს დიდი წარმატებები პირდაპირი შედეგია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ყურადღებისა და დახმარებისა, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელებისა. ეს ყურადღება და დახმარება საწარმოთა კოლექტივებს უსაზღვროდ აღაფრთოვანებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, ადგილობრივი რესერვების გამოვლინებისა და უმაღლესი ტექნიკის უნარიანად გამოყენების გზით შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან ჩატარებულმა პლენუმმა რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებს ძირითად ამოცანად დაუსახა შეუნელებელი ზრუნვა მძიმე ინდუსტრიის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, რაც წარმოადგენს ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საფუძველს, საბჭოთა ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის მთავარ სამუალებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის 29 ივლისის დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა გადაუდებელ, ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანათა გაშლილი პროგრამაა. პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში მოგვეპოვება მრავალი, ჯერ გამოუყენებელი საწარმოო რეზერვი, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდის დიდი შესაძლებლობანი და შრომის ნაყოფიერების გადიდების ფართო ასპარეზი. მაშასადამე, მთავარი ახლა ის არის, რომ გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ არსებული რეზერვები, უზრუნველვყოთ ახალი ტექნიკის ბაზაზე წარმოების სრულყოფა და შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდება, მძიმე და შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციით მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. მაგრამ ამ მხრივ ყველგან საჭირო ღონისძიებები არ ხორციელდება.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის წამყვანი საწარმოა. ამ საწარმოში, როგორც ეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, ცუდად ინერგება საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციის უახლესი მეთოდები, მარტენის ღუმელებში ქანგბადით ბერვის გამოყენება, ბრძმედში გაშუალედებული რკინის მადნის ჩატვირთვა, ფლუსნარევი აგლომერატის გამოყენება და სხვ., ამის შედეგია ის, რომ რუსთავის მეტალურგებმა წლის პირველ ნახევარში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებასთან ერთად ვერ მოახერხეს ასორტიმენტის გეგმის შესრულება, სახელდობრ, ჩამორჩნენ თუჯის გამოშვებაში.

ასეთივე მდგომარეობაა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, თბილისის ლოკომოტივშემკეთებელ, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ, ქუთაისის მანქანათმშენებელ, საავტომობილო და მთელ რიგ სხვა ქარხნებში, მძიმე მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, ნავთობმოპოვება და დამუშავება, ქვანახშირისა და ცემენტის წარმოება. დადასტურებულია, რომ რუსთავში მარტენის ღუმელების გაცდენა საშუალოდ 6-7 პროცენტით აღემატება გეგმიან გაცდენას, ხოლო ამ გაცდენების ლიკვიდაცია საკუთარ ძალებით ჩვენს მეტალურგებს. ეს კი ფოლადის გამოშვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია. ასევე უნდა ითქვას დნობათა ხანგრძლივობის შემცირების შესახებ, რაც აგრეთვე ფოლადის გამოშვების მძლავრი რეზერვია. მარტო ერთი ღონისძიება — თუჯში გოგირდის შემადგენლობის შვიდი მეასედიდან ოთხ მეასედამდე შემცირება ფოლადმდნობელებს საშუალებას მისცემს 6-7 პროცენტით შეამცირონ დნობის ხანგრძლივობა.

პლენუმის მითითება რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებისადმი, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების უზრუნველყოფასთან ერთად საჭიროა წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლება, არსებული მოწყობილობის მოდერნიზაცია და უახლესი ტექნიკის დანერგვა, დიდ ამოცანებს აკისრებს საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. ისინი მოვალენი არიან დაუღალავად იბრძოლონ ადგილობრივი მნიშვნელობის იმ კონკრეტული და სპეციფიკური საკითხების მოწესრიგებისათვის, რომლებიც აბრკოლებენ საწარმოს კოლექტივის წინსვლას, აფერხებენ ახალ წარმატებათა მოპოვებას.

ასეთი სპეციფიკური მოუგვარებელი საკითხები ბევრი აქვთ, მაგალითად, ტყიბულქვანახშირის ტრესტის ზოგიერთ შახტში, სადაც ბოლო ხანებამდე ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით, ამ ყველაზე პროგრესული და უსაშიშრო მეთოდით მუშაობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობამ განსაკუთრებით გაამახვილა ტყიბულელი მეშახტეების ხელმძღვანელთა ყურადღება ამ საქმეზე.

რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა, მშენებლებმა, ტრანსპორტის მუშაკებმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების საფუძველზე უნდა შეამუშაონ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების კონკრეტული გეგმები და მთელი გულისყური მიაპყრონ იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც აბრკოლებს ტექნიკურ პროგრესს.

დაუცხრომლად ვიბრძოლოთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითებათა შესასრულებლად, უმოკლეს დროში მივაღწიოთ რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას!

ეს იქნება საუკეთესო საჩუქარი საქართველოს კომუნისტების XVII ყრილობისათვის და ღირსეული წარმატება სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად.

დაიწყო ნარვის ჰიდროელექტროსადგურის წყალმიმღების დაგბორვა

ნარვა, 6 აგვისტო. (საკდესი). დღეს დაიწყო ნარვის წყლებით იმ წყალმიმღების ავსება, რომლის დანიშნულებაა მოაწესრიგოს წყლის მიწოდება არხში, რომელსაც წყალი სადგურის ტურბინებში მიჰყავს. ამ ჰიდროტექნიკურ ნაგებობაში შედის ყინულსაცავი კედელი, წყალმიმღების ძაბრი და სამ საკეტფარიანი კაშხალი, რომელსაც მომსახურებას უწევს 75 ტონა ხარიხიანი ამწე.

გუშინ მძლავრი იექსკავატორი შეუდგა ზღუდარის დაშლას, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს მდინარე ნარვასა და წყალმიმღებს. უახლოეს დღეებში წყალი სამუდამოდ დაფარავს წყალმიმღები ნაგებობის ფსკერს. წყლის სიღრმე აქ ხუთი მეტრი იქნება.

ა. შაიკინის მემონტაჟე-ზეინკალთა ბრიგადის კოლექტივმა ვადამდე დაამთავრა პირველი ტურბინაგრეგატის მუშა თვლის აწყობა და შეუდგა მეორე ტურბინის მუშა თვლის მონტაჟს.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას

★

ხალხთა შორის მშვიდობისათვის

სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი უდიდესი მოწონებით შეხვდა. ზეინკლები, მემანქანეები, ინჟინერ-ტექნიკოსები დიდი ინტერესით კითხულობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალებს, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებს. აგიტატორები საამქროებსა და მემანქანეთა ბრიგადებში ცოცხალ, საინტერესო, დამაჯერებელ საუბრებს აწყობენ.

— საბჭოთა ხალხი, რომელიც გამსჭვალულია მხურვალე მისწრაფებით იცხოვროს მეგობრულად და მშვიდობიანად ყველა ხალხთან, — ამბობს საგამრეცხო საამქროს ოსტატი შ. ხიზანიშვილი, — სულით და გულით უჭერს მხარს სსრ კავშირის მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. ერთსულოვნად ვიწონებთ უმაღლესი საბჭოს დადგენილებას და კვლავაც შეუსუსტებელი ენერგიით ვიმუშავებთ საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

მოწინავე ზეინკალმა ბ. ხმიადაშვილმა, რომელიც ყოველდღიურ ნორმას 200 პროცენტით ასრულებს, განაცხადა:

— საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის წარმატებით აღფრთოვანებული დეპოელები ახალ საწარმოო გამარჯვებებს მოიპოვებენ.

საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა გადაწყვიტა ვადამდე შეასრულოს მესამე კვარტალის გეგმა.

საქართველოს მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებებს. სურათზე: აგიტატორი თ. მუსერიძე ამბროლაურის რაიონის სოფელ ბოსტანის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს უკითხავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

მშვიდობისმოყვარე ძალების გამარჯვება

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საამქროებში 30-მდე აგიტატორი მართავს საუბრებს, აწყობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალების კითხვას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებამ მთელი კოლექტივის ერთსულოვანი მოწონება გამოიწვია. ნოვატორმა მჭედელმა ვ. კორძაძემ განაცხადა:

— საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ბრძნულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის წარმატება მშვიდობისმოყვარე ძალების გამარჯვებაა.

მანქანათმშენებელთა გრძნობები შესანიშნავად გამოხატა მოწინავე მღარავმა ა. კოროვინმა, რომელმაც თქვა:

— მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით მიესალმება უმაღლესი საბჭოს დადგენილებას და გამოთქვამს ღრმა სიყვარულსა და მადლობას საბჭოთა მთავრობის მიმართ, რომელიც აქტიურად იბრძვის ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის.

ამხ. ა. კოროვინმა იკისრა გადიდებული ვალდებულებანი და მექანიკური საამქროს კოლექტივს მოუწოდა კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღოს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

აჭარის მშრომელთა სიტყვა

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის ასსრ მშრომელები ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებებს. რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უდიდესი ინტერესით ეცნობიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებას და უმაღლესი საბჭოს დადგენილებას.

სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის საამქროებში აგიტატორები მენავთობეებს დაწვრილებით აცნობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალებს. ქარხნის ლაბორანტმა ფ. ორმოცაძემ აგიტატორის საუბრის შემდეგ თქვა:

— აჭარის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მხურვალედ იწონებენ უმაღლესი საბჭოს დადგენილებას. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვისწრაფვით მშვიდობითა და მეგობრობით ვიცხოვროთ ყველა ხალხთან.

ბათუმელი მენავთობეები შრომითს ვახტზე დადგნენ და ყოველდღიურად ადიდებენ თავიანთ წვლილს კომუნიზმის გამარჯვების საქმეში.

აჭარის საწარმოებსა და საკოლმეურნეო სოფლებში ახალი ძალით ჩაღდება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა პაჭრიოტული აღმავლობა

ზუგდიდი. (საკ. კორ). რაიონის კოლმეურნეები და საწარმო-დაწესებულებათა მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ერთსულოვნად იწონებენ ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებას ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალებს რაიონის მშრომელებს აცნობს 500-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე. გუშინ, შესვენების დროს, აგიტატორმა ა. ფარცვანიამ ენგურის ელექტროსადგურისა და ქაღალდის კომბინატის ფართო მოხმარების საამქროს მუშებს გააცნო უმაღლესი საბჭოს დადგენილება.

— საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ — განაცხადა საამქროს უფროსმა კ. დარასელიამ, — დიდად ნაყოფიერი მუშაობა გასწია, რათა ჟენევის თათბირზე მიეღწია შეთანხმებული გადაწყვეტილებებისათვის მსოფლიოს ყველა ხალხის საკეთილდღეოდ. ჩვენი საამქრო საწარმოო დავალებას დადაჭარხებით ასრულებს. მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვედით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოგვენიჭა მეორე ფულადი პრემია 45 ათასი მანეთი. მაგრამ მიღწეულით ვერ დავკმაყოფილდებით. პარტიისა და მთავრობის ბრძნული პოლიტიკით აღფრთოვანებულნი, კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას და ღირსეულად შევხვდებით სკკპ XX ყრილობას. საამქროს კოლექტივი კისრულობს 5 დეკემბრისათვის შეასრულოს წლიური გეგმა.

— ჟენევის თათბირს, — თქვა სოფელ ქორიის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკმა მ. ხარებავამ, — ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, კოლმეურნეები, ერთსულოვნად ვიწონებთ უმაღლესი საბჭოს დადგენილებას. ჩვენმა კოლმეურნეობამ წველადობის წლიური გეგმა 28 ივლისისათვის შეასრულა. პირობას ვდებ 1 ოქტომბრამდე წლიური გეგმის გადამეტებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღო 500 ლიტრი რძე. გადიდებულ ვალდებულებებს იღებენ რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

კვირას სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ინახულა მოსკოვის ათეულ ათასობით მშრომელმა. დამთვალიერებელთა შორის იყო აგრეთვე დედაქალაქის ბევრი სტუმარი, რომლებიც გავლით იმყოფებიან მოსკოვში. ასი ათასზე მეტი კაცი იყო კვირას „ქალაქ — ბაღის“ პავილიონებში, მეცხოველეობის ფერმებში, განყოფილება „ნადირობისა და მენადირეობის“ თვალწარმტაც კუთხეებში.

მთელ რიგ პავილიონებში ექსკურსანტებისა და დამთვალიერებლების წინაშე გამოვიდნენ გამოფენის მონაწილეები, უამბეს მათ თავიანთ მუშაობაზე. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის პავილიონში სვერდლოვსკის ოლქის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ზუევამ მოაწყო საუბარი კარტოფილის უხვი მოსავლის მოყვანის შესახებ. მისმა რგოლმა შარშან ჰექტარზე მიიღო 500 ცენტნერზე მეტი ტუბერები, ხოლო წელს ვარაუდობს კიდევ უფრო მეტის მიღებას. დიდძალი სასუქის შეტანა, გულდასმით მოვლა, სათესლე მასალის უნარიანად შერჩევა — აი მთავარი, რაც რგოლს ეხმარება ყოველწლიურად მოიყვანოს უხვი მოსავალი და მიიღოს დიდი შემოსავალი. მხოლოდ დამატებითი ანაზღაურების წესით ამხ. ზუევას რგოლის წევრებს შრომადღეზე მიეცათ 50 მანეთი თვითეულს.

ჩვენი ქვეყნის ყველა ოლქში ტრადიციად გადაიქცა საუკეთესო მოსწავლეების — ნორჩი ნატურალისტების დაჯილდოება მოსკოვში გამოფენაზე გაგზავნით. კვირას „ნორჩ ნატურალისტთა“ პავილიონში იყვნენ ვორონეჟის, სარატოვის, კემეროვოს, ვინიცის, გორკისა და სხვა ოლქების მოსწავლეთა ექსკურსიები. ქალაქ ფერგანის პუშკინის სახელობის სკოლის მოსწავლეებმა თან ჩამოიტანეს სასკოლო ნაკვეთზე მათ მიერ მოყვანილი ბამბის ბუჩქის ნიმუშები, ხორბლის ძნები, საზამთროები, ნესვები, ჯრეშუმისა და ბამბის ნაწარმის კოლექცია. ექსკურსანტთა შორის იყვნენ ჩუვაშეთის ნორჩი ნატურალისტები. მათმა ხელმძღვანელმა, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორმა ამხ. ფედოტოვამ განაცხადა, რომ წელს ჩუვაშეთის თვითეულ კოლმეურნეობაში მოსწავლეებმა იკისრეს 1-დან 10 ჰექტარამდე სიმინდის ნაკვეთის მოვლა. გამოფენაზე ნორჩი ნატურალისტები ყურადღებით სწავლობდნენ მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების მოყვანის საუკეთესო ხერხებს, ეცნობოდნენ უახლეს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

გამოფენის მწვანე თეატრში კვირას გაიმართა უკრაინის სსრ ბანდურისტთა სახელმწიფო დამსახურებული კაპელის, ბალტიის ფლოტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისა და ურალის მომღერალთა სახალხო გუნდის გამოსვლა. საკონცერტო ესტრადაზე გამოვიდა სვერდლოვსკის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი. (საკდესი).

საქართველოს და უკრაინის კოლმეურნეთა შეჯიბრება

ბელოზერკა, (ხერსონის ოლქი), 7 აგვისტო. (საკდესი). აქ შვიდ დღეს იყო სტუმრად საქართველოს სსრ ბათუმის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა ბელოზერკის რაიონის კოლმეურნეობებთან შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულების შესამოწმებლად.

უკვე სამი წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ ორი რაიონის კოლმეურნეები. ქართველი სტუმრები იყვნენ ბელოზერკის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობათა მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში, გაიცნეს კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაცია და მათ მიერ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება. ბელოზერკელმა კოლმეურნეებმა გადამდე შეასრულეს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისა და პურის ჩაბარების გეგმა. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის ამხ. შლიუსარის მემინდვრეობის ბრიგადამ წელს ხორბლის უხვი მოსავალი მოიყვანა. აქ 350 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აღებულია 220-250 ფუთი ხორბალი. ამ და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელების მებოსტნეებმა ერთიანობად გადააჭარბეს ბოსტნეულის დაგეგმილ მოსავლიანობას. მათ ჰექტარზე მიიღეს 2.400 ფუთი საადრეო კომბოსტო და ამდენივე პამიდორი.

ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმამ, რომელსაც ამხ. ბასოკი ხელმძღვანელობს, უკვე შეასრულა წველადობის წლიური გეგმა. მწველავებმა ამხ. ტრეტიაჩენკომ, ტიკვინკომ და სხვებმა მათთვის მიჩენილ თვითეულ ძროხაზე მიიღეს 1.500-1.600 კილოგრამი რძე, მაშინ როცა წლიური გეგმით დათვალისწინებულია 1.300 კილოგრამი.

სტუმრებმა მათ გაუზიარეს მებაღეობის, მეჩაიეობისა და მეცხოველეობის გაძღოლის გამოცდილება. ორივე რაიონის კოლმეურნეებმა მოწინავეთა რაიონულ თათბირზე პირობა დადეს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 38-ე წლისთავს.

სახელმწიფოსათვის პურის (სიმინდის გამოკლებით) ჩაბარების გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

(1955 წლის 5 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით
წითელწყაროს	178,0	გორის	78,2
მარნეულის	125,3	თეთრი წყაროს	64,5
გარდაბნის	124,1	ახმეტის	62,9
სიღნაღის	123,0	ხაშურის	45,2
ყვარლის	118,8	კასპის	43,7
ბოლნისის	116,3	ქარელის	39,0
გარეუბნის	114,3	სამხრეთ ოსეთის ა. ო.	28,0
ლაგოდეხის	114,1	დუშეთის	27,5
გურჯაანის	101,1	დმანისის	26,1
თელავის	90,8	ახალციხის	22,8
კაჩრეთის	87,6	ბორჯომის	3,3
მცხეთის	86,2	თიანეთის	0,8
საგარეჯოს	83,4		

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმების შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

1955 წლის 1 აგვისტოსათვის

ხორცი

წინ მიდიან		ჩამორჩებიან	
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი		ბოგდანოვკის	რაიონი
გურჯაანის	რაიონი	თეთრი წყაროს	„
დუშეთის	„	კაჩრეთის	„
თელავის	„	მარნეულის	„
თიანეთის	„	საგარეჯოს	„
ლაგოდეხის	„	სიღნაღის	„
მცხეთის	„	წალკის	„
ზუგდიდის	„	ჩხოროწყუს	„
ლანჩხუთის	„	ცხაკაიის	„
მახარაძის	„		
წალენჯიხის	„		
წულუკიძის	„		

რძე

წინ მიდიან		ჩამორჩებიან	
ახალქალაქის	რაიონი	აფხაზეთის ასსრ	
ბოგდანოვკის	„	ფოთი	
ბორჯომის	„	ადიგენის	რაიონი
გარდაბნის	„	კასპის	„
გარეუბნის	„	ხაშურის	„
გორის	„	აბაშის	„
გურჯაანის	„	ზესტაფონის	„
დმანისის	„	ზუგდიდის	„
ლაგოდეხის	„	ლენტეხის	„
მარნეულის	„	ჩოხატაურის	„
წითელწყაროს	„	ცხაკაიის	„
მახარაძის	„	წულუკიძის	„
		ჭიათურის	„
		ხობის	„

კვერცხი

წინ მიდიან		ჩამორჩებიან	
ასპინძის	რაიონი	ახმეტის	რაიონი
ახალციხის	„	კაჩრეთის	„
წითელწყაროს	„	ყვარლის	„
ადიგენის	„	თელავის	„
ახალქალაქის	„	გეგეჭკორის	„
ბოგდანოვკის	„	ზესტაფონის	„
გარეუბნის	„	თერჯოლის	„
თეთრი წყაროს	„	ორჯონიკიძის	„
თიანეთის	„	ჩოხატაურის	„
წალკის	„	ჭიათურის	„
ცაგერის	„	ხობის	„

წარმატებით შეასრულოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი

4 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების შედეგებს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების შედეგებისა და თბილისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ა. სეხნაშვილმა.

დაახასიათა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ისტორიული მნიშვნელობა, მოახსენებელმა აღნიშნა, რომ ამ გადწყვეტილებებს, ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მოწვევის შესახებ თბილისის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ისინი მიიჩნევა სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის — სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის პროგრამად.

კომუნისტური პარტიის მიერ ლენინური პოლიტიკის — მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ შესაძლებელი ნაყოფი გამოიღო. ჩვენი სამშობლო დიდი ინდუსტრიული სახელმწიფო გახდა. მნიშვნელოვანია ჩვენს რესპუბლიკაში ინდუსტრიის განვითარების წარმატებანი, რომელიც მიღწეულია ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი დახმარების საფუძველზე.

ეს წარმატებანი თვალნათლივ ჩანს რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისის მრეწველობის ზრდის მაგალითით. პარტიისა და მთავრობის დავალებათა განხორციელებისათვის თბილისის მშრომელთა თავდადებული ბრძოლის შედეგად ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მეხუთე ხუთწლედის ოთხსახეკარ წელიწადში გეგმის გადამტებით გამოშვებულია ასეული მილიონით მანეთის პროდუქცია. წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა თბილისში 70 პროცენტით და მეტით გადაჭარბდა 1950 წლის დონეს, ხოლო 1940 წელთან შედარებით თითქმის ერთისამად გაიზრდება.

ქალაქის მთელი რიგი საწარმოები, ისეთები, როგორიც არის კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხანა, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათშენებელი ქარხანა, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, 26 კომისრის სახელობის მანქანათშენებელი ქარხანა და სხვები, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს.

მომხსენებელი და კამათში გამოსულნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პარტიამ სოციალისტური მრეწველობის წინაშე დასახა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები. ამ ამოცანების შესრულებისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ თბილისის სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. ამ საწარმოთა ხელოვნური წონის რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში დიდი ადგილი უკავია. თბილისის საწარმოები საქართველოს მთელი სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 40 პროცენტს იძლევიან.

პლენუმზე აღინიშნა, რომ მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში დიდ მნიშვნელოვანი ამოცანაა საწარმოო რეზერვების მთლიანი გამოყენება, პირველ რიგში ნოწყობილობის უფრო ეფექტიანი გამოყენების გზით. ამ დარგში მუშაობა ჯერ კიდევ სუსტია. ისეთ მოწინავე საწარმოში, როგორიც არის კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხანა, მოწყობილობის მნიშვნელოვანი მოცდენია.

წარმოების გაუმჯობესებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების გადაკრამი დიდი წელილი შეაქვთ რაიონალიზატორებსა და გამომგონებლებს. მაგრამ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ აქცევენ მათ საჭირო ყურადღებას და არ უწევენ დახმარებას.

დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული თბილისის საწარმოებში წარმოების ისეთ ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების საქმე, როგორიც არიან ჟუმბერიძე და ილური-ძე სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, ზუბრიცკი და მანველიძე კიროვის სახელობის ქარხანაში და მრავალი სხვა.

დიდია სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა როლი წარმოებაში ტექნიკური პროგრესისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვის საქმეში.

ამ მიმართულებით ერთგვარი მუშაობა გასწიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის კოლექტივმა, ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისა და საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცალკეულმა კათედრებმა. მაგრამ თბილისს მეცნიერი მუშაკები ჯერ კიდევ ვერ უწევენ საწარმოებს იმ დახმარებას, რომელიც მათ დღეს მოეთხოვებათ. ბევრ საშეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს და უმაღლეს სასწავლებელთა კათედრებს არა აქვთ მჭიდრო კონტაქტი წარმოების მუშაკებთან, მუშაობენ საწარმოს საჭიროებათა გაუთვალისწინებლად. ამის შედეგად მრეწველობაში დანერგილია დამთავრებულ საკვლევ სამუშაოთა მხოლოდ მცირე ნაწილი. მეორე მხრივ, საჭიროა გადაჭრით დაძლეულ იქნას ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის უარყოფითი დამოკიდებულება მეცნიერთა ნაშრომების დანერგვისადმი.

ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის, მანქანების კონსტრუქციების გაუმჯობესებისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საკონსტრუქტორო ბიუროებს. რომელთაგან ბევრი ცუდად მუშაობს. მაგალითად, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში სამ წელიწადზე მეტია არსებობს საკონსტრუქტორო კანტორა, სადაც 70 მუშაკი ირიცხება. ამ ფოთის მანძილზე მას საწარმოებისათვის თითქმის არაერთი დახმარება არ გაუწევია. ძალიან ცუდად მუშაობს აგრეთვე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკონსტრუქტორო სპეციალური სახელმწიფო ბიურო.

მომხსენებელი და კამათში გამოსულნი შეეხნენ საწარმოთა მიერ სახელმწიფო დავალებების შესრულების საკითხებს. გეგმის შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით კანონი უნდა იყოს საწარმოსათვის. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია მაგალითი, როცა ზოგიერთი საწარმო ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებებს. ქალაქის მარტო 5 სამრეწველო საწარმომ, რომლებმაც ვერ შეასრულეს მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმები, დააკლო ჩვენს ქვეყანას 5 მილიონამდე მანეთის პროდუქცია. განსაკუთრებით შეუწყნარებლად ჩამორჩება სსრ კავშირის სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს თბილისის კერამიკული კომბინატი. აქ ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 38 პროცენტით. ჩამორჩენილ საწარმოთა შორის არიან თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სამრეწველო კომბინატი, ჭარხანა „დაზგა“ და სხვები. საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ ქალაქის საწარმოებში ფართოდ გავრცელებულ არარიტმულ მუშაობას და იკრიზობასს.

დიდი ყურადღება მიექცა შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებს. აღინიშნა, რომ სხვა მიზეზებთან ერთად შრომის ნაყოფიერების ზრდას ხელს უშლის ქალაქის საწარმოებში შრომის დაზოგვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დასახული ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა წარმოების კოოპერირება და სპეციალიზაცია. თბილისის საწარმოთა მუშაობას ხელს უშლის დასამზადებელ ნაკეთობათა ვრცელი ნომენკლატურა, ისეთი პროდუქციის გამოშვება, რომელიც არ შეესაბამება საწარმოს პროფილს. მაგალითად, კიროვის სახელობის ჩარხშენებელ ქარხანაში ძირითად პროდუქციასთან — ჩარხებთან ერთად უშვებენ ბეღლის კლიტეებს, ხრიკის საკრეკ დანებს. მასვე დაავალეს გორგოლაჭიანი ციგურების გამოშვებაც. მიმწოდა იმის საჭიროება, რომ ქალაქში მოეწყოს ლითონის ნაკეთობათა, საჭრელი და საზომი ინსტრუმენტების სპეციალიზებული საწარმო.

ქალაქის მეტ წილ ლითონდამამუშავებელ საწარმოებში არის პატარა, ცუდად აღჭურვილი სამსმელი საამქროები. იქ დამზადებული სხმული არა მარტო ძვირია, არამედ დაბალხარისხოვანიც არის. საჭიროა ქალაქში შეიქმნას ცენტრალიზებული ლითონსამსმელი საწარმო.

მომხსენებელი შეეხო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების, მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილების, პარტიული ორგანიზაციების მხრივ სამრეწველო საწარმოების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ამოცანებს. ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი არსებითი ნაკლია. პარტიის რაიკომები და საქალაქო კომიტეტი ზშირად ღრმად და კონკრეტულად არ სწვდებიან საწარმოებში საქმის მდგომარეობას, ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ახალგებენ იქ ცოცხალ, ორგანიზატორულ მუშაობას.

პლენუმზე გამოსულნი მხურვალედ იწონებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამხილებდნენ ნაკლოვანებებს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში, შეჰპირდათ წინადადებანი, რომელთა მიზანია სოციალისტური მრეწველობის წინაშე დასახული ახალი დიდი და პასუხსაგები ამოცანების შესრულება.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. ვ. ნინოშვილმა აღნიშნა, რომ საწარმოს წარმატებით მუშაობას ძალიან უშლის ხელს მისი ტექნიკური მოწყობილობის ჩამორჩენილობა. არსებული ჩარხები უკვე მრავალი წლის წინათ მოძველდა, სსრ კავშირის გზათა სამინისტრო კი თითქმის არაფერს არ აკეთებს ქარხნის ტექნიკის გასაახლებლად. მან აღნიშნა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის.

სკპ-ის კომპარტიის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ცქიტიშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებში, რომლებიც აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. ილაპარაკა რა იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლის ცალკეულ საწარმოებს გეგმის დროზე შესრულებაში, ამხ. ცქიტიშვილმა აღნიშნა, რომ ეს საწარმოები დამაკმაყოფილებლად ვერ მარაგდებიან მასალებით. ორატორმა განაცხადა, რომ საჭიროა გაძლიერდეს პარტიის საქალაქო კომიტეტის დახმარება და ხელმძღვანელობა სამრეწველო საწარმოთა მუშაობისადმი.

კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის ნოვატორი ხარატი ამხ. ჰ. ზუბრიცკი თავის სიტყვაში შეეხო მოწინავე გამოცდილების გავრცელების საკითხებს. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ქარხანაში მოწყობილი ნოვატორის დღე. მან აღნიშნა, რომ გაზეთები სუსტად აშუქებენ მოწინავე გამოცდილებას. ამხ. ზუბრიცკიმ ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, რომ საწარმოთა მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების მუშაკთა კადრების დენადობა.

პლენუმზე ილაპარაკეს გარეუნნის რაიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საკითხებზე. საქართველოს კომპარტიის გარეუბნის რაიკომის მდივანმა დიღმის მტს-ის ზონაში ამხ. ზ. ჭიკინაძემ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვიან კოლმეურნეები და მექანიზატორები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებში, რომლებიც აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. ილაპარაკა რა იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლის ცალკეულ საწარმოებს გეგმის დროზე შესრულებაში, ამხ. ცქიტიშვილმა აღნიშნა, რომ ეს საწარმოები დამაკმაყოფილებლად ვერ მარაგდებიან მასალებით. ორატორმა განაცხადა, რომ საჭიროა გაძლიერდეს პარტიის საქალაქო კომიტეტის დახმარება და ხელმძღვანელობა სამრეწველო საწარმოთა მუშაობისადმი.

ჟღერადგინარი ბარიტონი ამხ. ბ. ბუბუტაიშვილი, ბ. ბ. ბ.

მოსავალი ავიღოთ სწრაფად და უღანაკარგოდ

შორიდანვე ისმის ზაქარია ჩუტკერაშვილის კომბაინის გუგუნი. მთელი აგრეგატის რიტმულ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა კოლმეურნეებიც. კომბაინმა წრე გააკეთა და რამდენიმე წუთს შეჩერდა. ბუნკერთან სწრაფად ჩაყაყნეს ავტომანქანა. კომბაინის ბუნკერიდან წამოვიდა ოქროსფერი მარცვალი. მანქანა ხვავით გაივსო. მარცვლეული კალოზე მიიტანეს. მას ელოდა კოლმეურნეთა დიდი ჯგუფი, რომლებიც სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პურის გაწმენდაზე მუშაობს.

— წელს კარგი მოსავალია, საშუალოდ ჰექტარზე 18-20 ცენტნერ ხორბალს ვიღებთ, — განაცხადა კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ი. ნოზაძემ და ხელი გაიშვირა გიორგი კობერიძის კომბაინისაკენ, რომელიც გუმიეთ მიცურავდა ბოშრიალე პურის ყანაში.

ხალისიანად გადის შრომის დღეები სოფელ მოხისის (ქარელის რაიონი) კოლმეურნეობაში. პურის მკაზე აქ ოთხი კომბაინი მუშაობს და დიდი გადაჭარბებით ასრულებს დღიურ დავალებებს. მოსავლის აღების პარალელურად აწარმოებენ პურის გაწმენდასა და სახელმწიფოსათვის ჩაბარებას. კოლმეურნეობამ 600 ცენტნერი საუკეთესო ხარისხის მარცვალი უკვე ჩაბარა „ზაგოტზერნოს“ ქარელის მიმღებ პუნქტს.

სოფელ ქვენატკოცის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ კომბაინერი ივანე გულარაძე წარმატებით იღებს მოსავალს.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპის გაძლიერების მიზნით კოლმეურნეობის კალოზე ყოველდღიურად მუშაობს 60 კოლმეურნე. მოწინავე კოლმეურნეები ზინა გულიაშვილი, ოლია ბაბლიძე, ნინო მესხიძე, ელენე გელაშვილი პურის გაწმენდაზე ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ.

ამასთან ვხვდებით ნაკლოვანებებს. ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე და მეხუთე ბრიგადების ფართობებში კომბაინი „სტალინეც-6“ (კომბაინერი შ. ჩხიკვაძე) არაწესიერად მუშაობდა, ნამჯას დიდი რაოდენობით აყოლიებდა გაულეწავ თავთავებს. გაუმართავი იყო და ნამჯას აბნევდა შემგროვებელი მოწყობილობაც. მინდერად დარჩენილი თავთავების აკრეფაზე გამოყოფილი ჰყავდათ მხოლოდ ექვსი კოლმეურნე.

დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას ნაკლები ყურადღება ექცევა ავლევის კოლმეურნეობაშიც. აქ ბერუაშვილის კომბაინის აგრეგატს თავთავების მკრეფავები არ მიჰყვებოდა. გარდა ამისა, გალეწილ პურის მარცვალს დახეულ ტომრებში ყრიდნენ და მარცვალი იბნეოდა.

ზოგან ვხვდებით კომბაინების მოცდენას. ქარელის მტს-ის თვითმავალი კომბაინი (კომბაინერი ს. ელბაქიძე) დიდი შეფერხებით მუშაობს სოფელ ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობაში. კომბაინმა რვა დღის განმავლობაში მოსავალი მხოლოდ 22 ჰექტარზე აიღო. კომბაინი ხშირად ცდება. კომბაინერი ელბაქიძე დაუფლებული არ არის რთული მანქანის მართვას. მტს-ი კი ზომებს არ იღებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავალი 12.052 ჰექტარზეა ასაღები, აქედან კომბაინებით —10.008 ჰექტარზე. ამ დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოწყოს კომბაინების მაღალი წარმადობით მუშაობა.

რაიონში არიან მოწინავე კომბაინერები, რომლებიც მოსავალს სწრაფად იღებენ. მაგრამ მათი გამოცდილების გავრცელებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

მძლავრი ტექნიკის სრულად გამოყენება პურეულის დანაკარგის აღკვეთის მთავარი პირობაა. ეს კარგად უნდა გათვალისწინონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაღიდებისათვის

საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გაღიდებისათვის. გასული წლის ბოლოს კოლმეურნეობამ 124 სული პირუტყვისათვის ააგო ტიპური ფერმა, რომელიც მთლიანად მექანიზებულია. წელს აქ დამატებით შეიძინეს ველის წითელი ჯიშის 35 სული ძროხა და ამით თუშული ძროხების რაოდენობა 310-მდე გაზარდეს. ყველა მეწველი პირუტყვი კეთილმოწყობილ ბინებში მოათავსეს. საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს როგორც უხეში, ისე კონცენტრირებული და წვნიანი საკვები. ზამთრის განმავლობაში მეწველი ძროხები ძალიან ბაგურ კვებაზე ჰყავდათ.

ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო. კოლმეურნეობამ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 700-ის ნაცვლად უკვე 773 ლიტრი რძე მიიღო. მოწინავე მეწველაებმა მ. არაბულმა და ა. გამცემლიძემ, რომლებსაც მოსავლელად 10-12 ჯიშიანი ძროხა ჰყავთ მიჩენილი, თვითეულ ძროხაზე 1.400-1.500 ლიტრი რძე მოწველეს.

სართიჭალელი მეცხოველეები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. მათ ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე თვითეული საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა 1.200 ლიტრამდე გაზარდონ და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს 80 ტონა რძე ჩააბარონ.

ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულების მიზნით კოლმეურნეობა აგებს ოთხრიგიან მექანიზებულ ფერმას 240 ძროხისათვის და 1.000 ტონის ტევადობის 3 სასილოსე ტრანშეას. სასილოსე ნაგებობათა მიწის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

აღაზნის ველზე

საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ძანაშვილი და წნორის მტს-ის დირექტორი ვ. ჯავაშვილი ავტომანქანით მიდიოდნენ. დირექტორი სიამაყით გასცქეროდა ყანებს, გადახნულ ნაფვერალს. ამ კოლმეურნეობაში კარგად არის აწყობილი საქმე. კომბაინერებს უკან ნამჯის შემგროვებლები მისდევდნენ. ტრაქტორისტები შალვა ბანანაშვილი და იოსებ ჯოხარიძე გულდადებულ მუშაობდნენ ნამჯის შეგროვებაზე; ორივემ ექვს დღეში 500 ჰექტარზე გაზიდა ნამჯა. საქობოელი კოლმეურნეები ი. ნიკუაშვილი, ე. სპანდერაშვილი, ნ. ბაკაშვილი არანაკლები ენერგიით ეხმარებოდნენ ტრაქტორისტებს.

ავტომანქანით მიმავალნი საველე ვაგონის წინ გაჩერდნენ. საწნეხი მანქანა გამალებით ქშინავდა. მის ირგვლივ ჯარასავით ტრიალებდა იოსებ ქურხაშვილი; მას ტყუილად კი არ დაარქვეს კოლმეურნე მექანიკოსი. ამბობენ, მანქანის თვალი და გულიაო. თვითეული დეტალი საგულდაგულოდ აქვს შესწავლილი. წუთით არ აფერხებს ამ საუშაოს. გურამ ხანდოლიშვილის ტრაქტორი განუწყვეტლივ გუგუნებს, ყოველთვის მოქმედებაშია საწნეხი მანქანა. ისინი ყოველდღიურად თორმეტის ნაცვლად ჩვიდმეტ ტონას წნეხავენ.

— დაზვინული ნამჯა ხელსაყრელი არ არის პირუტყვის საკვებად, გადატანის დროს ღალა ეცლება. საკვებად რაც საჭიროა, იბნევა, დაწნეხვის დროს კი მძლავრად იკვრება ახლად აღებული ნამჯა, იგი რა დროსაც უნდა მისცეთ პირუტყვს, ყოველთვის გემრიელია, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და დაწნეხილ ნამჯის პირამიდებს ჩაუარეს.

კოლმეურნეობის საკვებმოპოვების ბრიგადა, რომელსაც ვასილ ხანდოლიშვილი ხელმძღვანელობს, აქედანვე შეუდგა თადარიგს. მან გადაწყვიტა პირუტყვისათვის შექმნას მტკიცე საკვები ბაზა. ნამჯის დაწნეხვისა და თივის დაზვინვის შემდეგ 500 ტონაზე მეტი მწვანე მასა ჩადეს. სასილოსე ორმოში კვლავაც განაგრძობენ საკვების ჩადებას, დაიწყეს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში შესული სიმინდის დაღლესებაც.

მილარიდან მოყოლებული ჭიან ტყეს სცილდება სიონაღელ კოლმეურნეთა სახნავ-სათესი ფართობები. ყველგან შრომის ფერხულია, მადლიან ალაზნის ველზე ბარაქას იმკიან. სიმინდს თოხნიან, მზესუმზირას იღებენ.

„საველმოს“ ფართობებში სოფელ საქობოს კეცხოველის და დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებს საუკეთესო ყანები ჰქონდათ.

— სიჩქარე მეოთხეში! — მისცა ნიშანი ავთო ფოლადაშვილმა ტრაქტორისტ გიორგი სიფრაშვილს, და ტრაქტორმა მძლავრად გაიწია. ერთი შეხედვით გეჩვენებათ ეს ველებერთელა მანქანა პურეულის თავთავებზე მოფრინავსო. მათ მახლობლად ალავერდა ინაშვილმა შეუტია.

— აჩქარდი, აჩქარდი! — ნიშანს აძლევს ტრაქტორისტს ინაშვილი.

საინტერესო სანახავი იყო ის დღისით ორი კომბაინერის შეჯიბრება. მათ მოპირდაპირე ნაკვეთებში ერთსა და იმავე დროს დაიწყეს მკა, ორივე მოუთმენლად ისწრაფოდა ფინიშისაკენ. ალავერდამ შარშან სახელი გაითქვა, არც წელს ჩამორჩა — ყოველდღიურად 18-20 ჰექტარზე იღებდა მოსავალს. მაგრამ მჯობის მჯობი არ დაილევაო — ამბობენ, და აი გამოჩნდა სახელოვანი კომბაინერების მჯობი რ. ბიძინაშვილი. იგი სულ 21 წლისაა. მან გასულ წელს ყამირ მიწებზე მოიპოვა სპატიო სახელი, ალტაის მხარეში მუშაობდა, ყოველდღიურად თავისი კომბაინით 30 ჰექტარზე იღებდა მოსავალს.

— ამბობენ, იქ იოლია მოსავლის აღებაო. ეს არც ჩვენთანა ჭირს, — ამბობს ბიძინაშვილი, — უკრაინელი კომბაინერებისაგან ბევრი კარგი რამ ვისწავლე, განსაკუთრებით დავეუფლე ტრაქტორის სიჩქარეებთან ერთად ხედვრის ზუსტ რეგულირებას.

წელს ბიძინაშვილმა მოსავლის აღების პირველ დღეებშივე სარეკორდო მაჩვენებლები დაამყარა — 40-42 ჰექტარი დღეში. ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც გაითქვა მან სახელი. არაერთი მოლოცვის წერილი მოსდის რამანს, სწერენ კოლმეურნეები ჩელიაბინსკიდან, ყუბანიდან, ციმბირიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, ულოცავენ წარმატებებს, სთხოვენ მისწეროს მოპოვებულ წარმატებებზე.

ყანებში ორი კომბაინი გაშმაგებით მიიწევდა წინ. მათ კალოზე მომუშავე კოლმეურნეთა ყურადღება მიიპყრეს. წინასწარ არ შეთანხმებულან, და ნამდვილი შეჯიბრება გამოუვიდათ. კალოს წინ „მოსკვიჩი“ გაჩერდა. ახალგაზრდა, პირმრგვალი ვაჟკაცი და მტს-ის ბზონავი ზაურ ბოლაშვილი გადმოვიდნენ.

— გაუსწრო რამანს! — უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ზაურმა. — გითხარი, მალე წავიდეთ-მეთქი, არ დამიჯერე. ყოჩაღი მეშტურვალეა, ბოლაშვილი, ხედავ, სად ჩამოიტოვა?

— ავთანდილს უძნელდებოდა, სარეველიანი ყანა შეხვედრია, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს, თუ ამ შემოვლაზე ალავერდამ გვაჯობა, მეორეზე ჩვენ გავუსწრებთ.

ინაშვილის აგრეგატი ფართობის თავში გავიდა, ბიძინაშვილის კომბაინი, რომელსაც მეშტურვალე მართავდა, კარგა მანძილზე ჩამოიტოვა. საქობოელებმა კალოზე ტაში შემოჰკრეს...

ბიძინაშვილი უცბად მოსწყდა ადგილს და ჩქარი ნაბიჯით ახლად მომკილი ყანა გადაირბინა, სწრაფად მიუახლოდა კომბაინს.

— აი ახლა ვნახოთ! — ნიშნის მოგებით ამბობდნენ წნორელები.

მიგელავდა ტრაქტორი, ბიძინაშვილი მოხერხებულად ატრიალებდა კომბაინის საჭეს.

— კომბაინია თუ თვითმფრინავი?

— ეს მართლაც კომბაინერთა ასპარეზობაა, — გაიძახოდნენ კოლმეურნეები და ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალყურს.

ინაშვილმა ადრევე შეიტყო ბიძინაშვილის ოსვლა და ამიტომ უფრო მონდომებით შეუტია პურის ყანას.

წნორელები კარგა ხანს ითვლიდნენ რამდენი ბუნკერით გაასწრო ბიძინაშვილის აგრეგატმა ინაშვილისას, მაგრამ ანგარიში აერიათ და თვლა მიატოვეს. როცა ბრიგადირმა იმ ფართობის რუკას გადახედა, სადაც ბიძინაშვილის აგრეგატი მუშაობდა, 80 ჰექტარი აღმოჩნდა. მისი აღება ორ დღეში დაემთავრებინათ.

კარგახანია ზაფხულის მცხუნვარე ნზემ ალაზნის ველზე ყაყაჩოები დაჭკნო, მაგრამ ერთი ალისფერი ყაყაჩო, უჭკნობი, ყოველთვის ღვივის ამ ველზე. ეს ბიძინაშვილის აგრეგატზე მოფრიალე მტს-ის გარდამავალი დროშაა, გამარჯვების დროშა. ალაზნის მტს-ის ცნობილმა კომბაინერმა მიხეილ ლაზარიაშვილმა მილარიდან შემოუთვალა:

— გილოცავ, ძმაო, წარმატებას. წელს ჩემი ფარხმალი შენთვის გადმომიცია, შეავისწავლი შენი მუშაობის მეთოდებს და გაისად უფრო სერიოზულად ჩავებმები შენთან შეჯიბრებაში.

— ლაპარაკობს „განთიადი“, ლაპარაკობს „განთიადი“, — ყოველ საღამო გადასცემდა მტს-ის სადისპეტჩეროს ალმრიცხველი გოგია კიკილაშვილი, — რამან ბიძინაშვილის აგრეგატმა დღეს 35 ჰექტარზე აიღო მოსავალი, ალავერდა ინაშვილის კომბაინმა — 25 ჰექტარზე...

ასე მეორდებოდა ყოველ ცისმარე დღეს, დილით და საღამოთი.

ამასწინათ რ. ბიძინაშვილის აგრეგატი სტალინგრადის ოლქში გაემგზავრა, რუსეთის უხვმოსავლიან მინდვრებიდან სახელოვანი კომბაინერი იტყობინება, რომ შრომის ტემპი არ შეუნელებია, კვლავაც წარმატებებით დაბრუნდება საქართველოში.

ვ. გოზალიშვილი,
სიღნაღის რაიგაზეთ „კოლმეურნის“ რედაქტორის მოადგილე.

გუშინ მთაწმინდაზე

გუშინ შესრულდა 40 წელი დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან. დღის ორ საათზე მთაწმინდაზე, პოეტის საფლავთან შეიკრიბნენ ქართველი მწერლები, ხელოვნების მუშაკები, დედაქალაქის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

საქართველოს სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ და სტალინური პრემიისლაურეატმა გიორგი ლეონიძემ პოეტის საფლავთან მიიტანეს ცოცხალი ყვავილების დიდი გვირგვინი, წარწერით „ვაჟა-ფშაველას ქართველი მწერლებისაგან“.

პოეტის საფლავი ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეამკეს აგრეთვე თბილისის ვაჟა-ფშაველას სახელობის ბიბლიოთეკის მუშაკებმა.

სურათზე: ქართველი მწერლები და თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლები ვაჟა-ფშაველას საფლავთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სამეცნიერო ექსპედიციები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა ზაფხულის პერიოდში მოაწყო რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია.

ქართლში — სოფელ ხოვლეში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს არქეოლოგიური ექსპედიცია 12 კაცის შემადგენლობით. ისინი თხრიან ძველი დროის ნასოფლარს, სამეურნეო და საკულტო ნაგებობათა ნაშთებს, აწარმოებენ აგრეთვე ამ ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთების აღრიცხვას.

მხარის ეთნოგრაფიული შესწავლის მიზნით გეგეჭკორის, ცხაკაიას და ზუგდიდის რაიონებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით გაემგზავრა ექსპედიცია მეცნიერ მუშაკების, არქიტექტორების, მხატვრების და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტების შემადგენლობით.

ექსპედიციის მიზანია გამოავლინოს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ხალხური კულტურის თავისებურებანი.

თეთრი წყაროს რაიონში ახლახან მუშაობა დაამთავრა ექსპედიციამ, რომელიც ანდგენდა ერთ-ერთი ძველი ნასოფლარის შესწავლას.

ამ დღეებში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით სამეცნიერო ექსპედიცია გაემგზავრება სარკინეთში, უძველესი რკინის წარმოების ამ უმნიშვნელოვანესი პუნქტის შესასწავლად. სექტემბერში ისტორიულ-არქეოლოგიური დაზვერვისათვის ექსპედიცია მოაწყობა ქართლში, სადაც უმთავრესად მოიძებნება მტკვრის მარჯვენა ნაპირის შესწავლა. ეს მასალა გამიზნულია საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური რუკის შესადგენად. ასეთივე ხასიათის ექსპედიცია მოეწყობა სამხრეთ ოსეთში.

ახალი წიგნები

„ჰაინრიხ ჰაინე — რჩეული ლირიკა“

საბჭოთა მკითხველებს გულწრფელად უყვართ დიდი გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე. მისი ლირიკული ლექსების უაღრესად სპეტაკი ადამიანური გრძნობით გამთბარი სტრიქონები მარად ცოცხლობენ.

ჰაინრიხ ჰაინეს ლირიკულ შემოქმედებას ქართველი მკითხველები დიდი ხანია იცნობენ. არაერთმა ნიჭიერმა პოეტმა თარგმნა ქართულ ენაზე ჰაინეს ლირიკული შედევრები.

ამას წინათ გამოცემული კრებული — „ჰაინრიხ ჰაინე — რჩეული ლირიკა“, რომლის თარგმანი ა. ჯაფაუას ეკუთვნის, არ წარმოადგენს ჰაინეს ლექსების წინათ გამოცემულ კრებულთა უბრალო გამეორებას. ამ კრებულში შეტანილ ოცამდე ლექსს — „სიმღერების წიგნი“, „რომანცერო“, აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის ლექსებს, რომლთა დიდი ნაწილი გაერთიანებულია ციკლში „თანამედროვე ლექსები“, მკითხველი პირველად ეცნობა ქართულ ენაზე.

კრებულში შეტანილია აგრეთვე ლექსების ციკლები — „ახალი ლექსები“, „1853 და 1854 წლების ლექსები“, „უკანასკნელი ლექსები“.

კრებული, რომელსაც დართული აქვს ჰაინრიხ ჰაინეს პორტრეტი, შეიცავს 248 გვერდს. ფასი 2 მან. 85 კაპ.

ჰაინრიხ ჰაინეს „რჩეული ლირიკის“ ამ გამოცემით სახელგამმა კარგი სამსახური გაუწია ქართველ მკითხველებს.

* * *

ა. გურთიკაშვილი — „ალექსანდრე ყაზბეგი სცენაზე“. გამომცემლობა „ხელოვნება“, 1955 წელი, გვ. 124, ტირაჟი 5.000, ფასი 9 მან. 60 კაპ.

წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან: დრამატური ა. მოჩხუბარიძე, ა. ყაზბეგის ნაწარმოებთა ინსცენირება და ეკრანიზაცია, მსახიობი ა. მოხევე, ა. მოხევე დიეტრიხსენტში, ტრაგედიის დასასრული, ა. მოჩხუბარიძის. პიესები, ა. მოჩხუბარიძის დრამატულ ნაწარმოებთა წარმოდგენები თბილისში, ალ. მოხევის მიერ შესრულებული როლები.

წიგნს დართული აქვს გ. ნატროშვილის წინასიტყვაობა, ლიტერატურული წყაროების მაჩვენებელი და სახელთა საძიებელი. წიგნი კარგად არის ილუსტრირებული.

ლენინგრადში ჩავიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია

ლენინგრადი, 8 აგვისტო. (საკდესი). თავისი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში იუგოსლავიის ხალხის წარმომადგენლებმა დაიწყეს ლენინგრადში გამგზავრებით. დილის საათებში, როცა მოსკოვ-ლენინგრადის ექსპრესი მიზანს უახლოვდებოდა, სტუმრები გამოვიდნენ თავიანთი კუპეებიდან, ინტერესით ათვალიერებდნენ წარსული ბრძოლების ადგილებს გმირი ქალაქის კედლებთან, აქ აგებულ ახალშენებებს, სამრეწველო საწარმოებს.

ლენინგრადის მოსკოვის ვაგზალი. აქ იუგოსლავი ხალხის წარმომადგენელთა შესახვედრად შეიკრიბნენ ქალაქის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. შეხვედრთა შორის არიან ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ი. სმირნოვი, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეები ლ. პ. ჩერნიავსკაია, ა. ა. კუზნეცოვი, მ. ა. ბალაშოვი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ი. ა. პუჩკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ი. პოპოვი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების დეპუტატები, ქალაქის კომენდანტი გენერალ-მაიორი ნ. ზ. სუხორებრივი, საბჭოთა პრესის წარმომადგენლები.

ლენინგრადის მშრომელთა სახელით დელეგაციას გულთბილად მიესალმა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირსა და ლენინის ქალაქში იუგოსლავიის პარლამენტის დეპუტატთა ჩამოსვლა ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის მზარდი მეგობრობის ახალი დადასტურებაა.

მიკროფონთან მიდის იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის მეთაური ვლადიმერ ბაკარიჩი. იგი მადლობას იხდის გულთბილი მიღებისათვის, რომელიც დელეგაციას ლენინგრადში მოუწყეს. ვლადიმერ ბაკარიჩი აცხადებს:

— ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ამ ქალაქში ყოფნა, რადგან იგი არის რევოლუციის აკვანი, ლენინის ქალაქი, რომელმაც ძალიან დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობაში და ომის დროს ყველა საბჭოთა ხალხის გმირობის სიმბოლოს წარმოადგენდა.

ლენინგრადის სწორედ ეს გმირული ბრძოლა ომის განმავლობაში ძალიან გვმატებდა ჩვენ ფაშისტური ოკუპაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

იუგოსლავიის ყველა დელეგაცია, რომელიც უკვე ყოფილა თქვენს ქალაქში, მუდამ აღტაცებული იყო გულთბილი მიღებით. ჩვენ ვისარგებლეთ იმ წინადადებებით, რომლებიც მოგვმართა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ, და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი აქ ყოფნა ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. ერთხელ კიდევ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

სტუმრები მიემართებიან ქალაქში გასასვლელისაკენ. ვაგზლის მოედანზე შეკრებილ ლენინგრადელთა დიდი ჯგუფები გულითადად მიესალმებიან იუგოსლავიის დელეგაციის წევრებს.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაციის წევრები შეხვდნენ ლენინგრადის საქალაქო საბჭოს დეპუტატებს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელ მუშაკებს, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებსა და წევრებს.

ნ. ი. სმირნოვმა სტუმრებს გააცნო საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქმიანობა და ამოცანები, დეპუტატთა შემადგენლობა, აღმასკომის, მისი სამმართველოებისა და განყოფილებების სტრუქტურა და მუდმივი კომისიების მუშაობა. შემდეგ მან უამბო ქალაქის ცხოვრებაზე. სტუმრები დაინტერესა ცნობამ იმის შესახებ, რომ 1949 წელს ლენინგრადში მთლიანად აღდგენილი იყო ომის დროს დანგრეული შენობები.

საუბრის დასასრულს, რომელიც დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა, იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურმა ვლადიმერ ბაკარიჩმა მადლობა გამოთქვა ამომწურავი პასუხებისათვის. მან განაცხადა:

— მე მინდა მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით ლენინგრადის საქალაქო საბჭოს მუშაობას. როგორც ხედავთ, ჩვენ ვისარგებლეთ ამ შესაძლებლობით. საუბრის დროს ჩვენ არ გერიდებოდით, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ თავს კარგად ვგრძნობთ.

ლენინგრადის საბჭოს აღმასკომში საუბრის შემდეგ იუგოსლავიის დელეგაციამ მოახდინა დიდი ექსკურსია ქალაქში. სტუმრებმა ლენინგრადის მთავარი არქიტექტორის ვ. ა. კამენსკის თანხლებით დაათვალიერეს არქიტექტურული ანსამბლები, ისტორიული ძეგლები, რომლებიც დიდმა რუსმა ხუროთმოძღვრებმა შექმნეს. იუგოსლავი ხალხის წარმომადგენლები იყვნენ სასახლის მოედანზე, ვასილის კუნძულისა და პეტროგრადის მხარის მაგისტრალებზე. ი. ბ. სტალინის სახელობის პროსპექტზე დელეგაციამ დაათვალიერა ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის რაიონი, მეგობრული საუბარი ჰქონდა მუშებთან.

საზაფხულო ბაღში სეირნობის დროს იუგოსლავმა სტუმრებმა დაათვალიერეს პეტრე პირველის სასახლე-მუზეუმი, შემდეგ ნევის სანაპიროთი გაემართნენ რევოლუციის ლეგენდარული ხომალდის — კრეისერ „ავრორასაკენ“.

ქალაქის ისტორიული და რევოლუციური ძეგლების გაცნობა იუგოსლავიის დელეგაციამ იმით დაამთავრა, რომ დაათვალიერა ვ. ი. ლენინის ძეგლი-კარავი რაზლივში. აქ, როგორც ცნობილია, ლენინი თავშეფარებული იყო კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის დევნის დროს და წერდა თავის შესანიშნავ შრომას „სახელმწიფო და რევოლუცია“.

რაზლივში ვ. ი. ლენინის ძეგლ-კარავის დათვალიერების შემდეგ იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის წევრებმა მუზეუმის წიგნში დატოვეს შემდეგი ჩანაწერი:

„ჩვენ ვართ იმ ადგილას, სადაც ელადიმერ ილიას-ძე ლენინმა დაწერა თავისი უკვდავი ნაწარმოები, რომელიც აღაფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს იუგოსლავ მებრძოლებს ჩვენი ქვეყნის უკეთესი სოციალისტური მომავლისათვის. 1955 წლის 8 აგვისტო“.

საღამოს იუგოსლავიის პარლამენტის წევრები ს. მ. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში დაესწრნენ სიმფონიური მუსიკის კონცერტს. ყველგან, სადაც სტუმრები გამოჩნდებოდნენ, ლენინგრადელები უაღრესად გულთბილად ხვდებოდნენ იუგოსლავი ხალხის წარმომადგენლებს.

დელეგაციას ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. მ. საფრონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომელი ი. ა. კოროლიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, აგრეთვე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში დ. ვიდიჩი და საელჩოს მრჩეველი ფ. ბაბიჩი.

ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია სტალინგრადში

სტალინგრადი, 8 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). მთელი დღეგანდელი დღე ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ეცნობოდა ქალაქ სტალინგრადსა და მის ღირსშესანიშნაობებს.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ცარიცინ-სტალინგრადის დაცვის მუზეუმი. მუზეუმის დირექტორმა ნ. ი. პოდლესნოვმა დელეგაციის წევრებს უამბო ცარიცინის დაცვის ისტორია სამოქალაქო ომში და სტალინგრადისა — სამამულო ომის დროს, მოკავშირეთა კოალიციის როლის შესახებ ჰიტლერული ფაშიზმის განადგურების საქმეში. სტუმრები დიდხანს შეჩერდნენ იმ საჩუქრებისა და მისალმებების დარბაზში, რომლებიც მიიღეს სტალინგრადის გმირმა დამცველებმა მსოფლიოს ყველა კუთხიდან. დელეგაციის წევრთა დიდი ყურადღება მიაქცია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რუზველტის 1944 წლის 17 მაისის სიგელმა, რომელშიც ამერიკელი ხალხის სახელით გამოთქმულია აღტაცება სტალინგრადის მამაცი დამცველებით.

მუზეუმში სტუმრებმა გაიცნეს ჰ. ს. კურინი — დონელი კაზაკი, რომელიც თავისი სამი შვილით აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცარიცინისა და სტალინგრადის დაცვაში.

დელეგაციის წევრები იყვნენ სტალინგრადის არქიტექტორის სახლში, სადაც გაეცნენ სტალინგრადის აღდგენისა და განვითარების გეგმებს. სტუმრებმა დიდი ყურადღებით ნახეს არქიტექტორის სახლში დოკუმენტალური ფილმი „სტალინგრადის ბრძოლა“.

მუზეუმიდან წამოსვლისას, ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის ხელმძღვანელმა უილიამ ლამბერტმა შთაბეჭდილებათა წიგნში მადლობა გადუხადა მუზეუმის თანამშრომლებს ამისათვის, რომ მათ შესაძლებლობა მისცეს დელეგაციას დაწვრილებით გაეცნოთ სტალინგრადის ბრძოლის ისტორია. ამერიკელი ხალხი, ჩაწერა ლამბერტმა, უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სტალინგრადისათვის ბრძოლას და აღტაცებულია სტალინგრადის გმირი დამცველებით. სტალინგრადის გმირული დაცვა საუკუნეთა განმავლობაში იცოცხლებს.

დელეგაციის სხვა წევრებმა, რომლებმაც თავიანთი შთაბეჭდილებანი გაუზიარეს მუზეუმისა და არქიტექტორის სახლის თანამშრომლებს, აღნიშნეს, რომ მათ მხოლოდ დღეს შეძლეს წარმოედგინათ სტალინგრადის ბრძოლის მასშტაბი და მნიშვნელობა.

დღის მეორე ნახევარში სტუმრები ეწვივნენ სატრაქტორო ქარხანას. დირექტორის ი. ფ. სინიცინის მიწვევით მათ დაათვალიერეს ძირითადი საწარმოო საამქროები და ჟურნალისტებმა მანქანების აწყობას მთავარ კონვეიერზე. ფერმერმა ჩარლზ ჰერსმა კონვეიერიდან ჩამოიყვანა ტრაქტორი „დტ-54“ და გაატარა იგი ქარხნის ეზოში, რასაც ქარხნის მუშები და სტუმრები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. „შესანიშნავი ტრაქტორია, ძალიან ადვილი სამართავი“, — თქვა მან კაბინიდან გამოსვლისას.

ქარხნის ხელმძღვანელებთან

გაიხსნა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენცია

ჟენევა, 9 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 8 აგვისტოს ჟენევაში ერების სასახლეში გაიხსნა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენცია, რომელიც მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესიის 1954 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით. კონფერენციის მონაწილეთა წინაშე დგას ამოცანა — გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში და ამით შეიტანონ თავიანთი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების საქმეში.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ 72 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, კანადის, ინდოეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, იუგოსლავიის, იაპონიის, ავსტრიის, ბირმის, ეგიპტის, ინდონეზიის, იტალიისა და სხვა ქვეყნების დელეგაციები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობს ათასზე მეტი დელეგატი, მათ შორის თვალსაჩინო მეცნიერები და ინჟინრები, რომლებიც წარმოადგენენ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგს.

კონფერენციაზე სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობს აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი, უკრაინის სსრ დელეგაციას — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. ვ. პალადინი, ბელორუსიის სსრ დელეგაციას — ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ფ. კუპრევიჩი. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან თვალსაჩინო მეცნიერები — აკადემიკოსი ა. ვ. ტოჩიევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ვ. ს. ემელიანოვი, პროფესორი ი. ნ. ბლოხინცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ვ. ი. ვექსლერი, აკადემიკოსი ა. პ. კირილოვი და სხვები.

კონფერენცია 20 აგვისტომდე გასტანს. ამ ხნის განმავლობაში მისი მონაწილენი პლენარულ სხდომებზე და სხვადასხვა სექციებში მოისმენენ ბევრ მეცნიერულ მოხსენებასა და ცნობას მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

კონფერენციის წარედგინა ორი ათასზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც შეასრულეს 39 ქვეყნის მეცნიერებმა, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულმა ორგანიზაციებმა.

კონფერენცია გაიხსნა ერების სასახლის ასამბლეის დარბაზში, სადაც ჩვეულებრივ ეწყობა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციები. პირველი სხდომის გახსნამდე დიდი ხნით ადრე დარბაზში შეიკრიბნენ კონფერენციის მონაწილენი, საელჩოებისა და მისიების წარმომადგენლები, შვეიცარიისა და უცხოეთის პრესის მრავალი წარმომადგენელი, ფოტო-ვინო-რადიორეპორტიორები.

პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა მ. პტიპიერმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დ. ჰამარშელდმა, კონფერენციის თავმჯდომარემ ხ. ბაბამ და კონფერენციის გენერალურმა მდივანმა უ. უიტმენმა.

კონფერენციის თავმჯდომარემ ხ. ბაბამ სიტყვა მისცა შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს მ. პტიპიერს. შვეიცარიის ფედერალურ ხელისუფალთა ეენევის კანტონისა და ქალაქ ეენევის ხელისუფალთა სახელით პრეზიდენტი მ. პტიპიერი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს.

მ. პტიპიერმა რწმენა გამოთქვა, რომ კონფერენცია ცხადყოფს თანამშრომლობის მაგალითს იმ მიზნის მიღწევაში, რომელიც მშვიდობის საქმეს ემსახურება.

შემდეგ თავმჯდომარემ მისალმებისათვის სიტყვა მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დ. ჰამარშელდს.

თავის სიტყვაში დ. ჰამარშელდმა ხაზგასმით აღნიშნა კონფერენციის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ თუმცა კონფერენცია მოწყობილია მეცნიერულ საფუძველზე, მაგრამ მას „ძალიან დიდი შედეგები ექნება — არა მარტო მეცნიერული, არამედ აგრეთვე ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური“.

დ. ჰამარშელდის სიტყვის შემდეგ კონფერენციის თავმჯდომარემ ხ. ბაბამ განაცხადა, რომ კონფერენციის სახელზე მიღებულია მისალმებანი ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებისაგან, აგრეთვე ინდოეთის მთავრობის მეთაურისაგან, და წინადადებით მიმართა შესაბამისი ქვეყნების დელეგაციათა ხელმძღვანელებს გამოაქვეყნონ ეს მისალმებანი კონფერენციის ტრიბუნიდან.

მისალმებათა გამოქვეყნების შემდეგ კონფერენციის თავმჯდომარემ ხ. ბაბამ წარმოთქვა შესავალი სიტყვა. იგი მიესალმა კონფერენციის დელეგატებს და აღნიშნა, რომ „აკადემიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს მეცნიერთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების პრობლემების დარგში. დახატა რა პერსპექტივები, რომლებიც ისახება მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების განვითარებით, ხ. ბაბამ აღნიშნა ატომის ენერგიის მნიშვნელობა მთელი რიგი ეკონომიური პრობლემების გადაჭრისათვის.

ორატორმა მოუწოდა საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში.

არის საფუძველი, განაცხადა მან, იმედი ვიქონიოთ, რომ პოლიტიკური ვითარების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მეოხებით, რაც ცოტა ხნის წინათ მოხდა და რაც, როგორც იმედი გვაქვს, გაგრძელდება, თანდათანობით გაქრება ყველა ბარიერი საერთაშორისო თანამშრომლობის გზაზე.

ჟენევა, 9 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის გუშინდელი დღის სხდომა მიეძღვნა ენერგეტიკული რესურსების მსოფლიო მოთხოვნილების საკითხის განხილვას.

კონფერენციამ მოისმინა ინგლისელი მეცნიერების რობინსონისა და დენიელის მოხსენება „ენერგიის ახალი წყაროების მსოფლიო მოთხოვნილება“, მესონის (ამერიკის შეერთებული შტატები) მოხსენება „ეკონომიური განვითარება და ენერგიის მოთხოვნილება“, ა. შვეჩიკის (ჩეხოსლოვაკია) მოხსენება „ენერგიის წარმოების განვითარების პერსპექტივები ჩეხოსლოვაკიაში და ატომის ენერგიის როლი მშვიდობიან მშენებლობაში“, აგრეთვე მთელი რიგი სხვა მოხსენებანი.

ამით დამთავრდა კონფერენციის დღის სხდომა.

აზომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონფერენციაზე

ტოკიო, 8 აგვისტო. (საკუთარი). როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, დღეს იაპონიის ქალაქ ხიროსიმაში მუშაობა დაამთავრა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა იაპონიის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, აგრეთვე მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყნის დელეგატები.

კონფერენციის საბოლოო სხდომაზე პოლონეთის, ინდოეთის, ინდონეზიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა მოწოდებით მიმართეს მსოფლიოს ყველა ხალხს, მიუხედავად რასისა და იდეოლოგიისა, დარაზმონ თავიანთი რიგები და კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ მოძრაობა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, რათა ხირიხსიმას და ნაგასაკის ტრაგედია არასოდეს აღარ გამეორდეს. შემდეგ იაპონელი პროფესორის საკატას წინადადებით კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაუგზავნონ მხისსალმებელი წერილი ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკურ კონფერენციას, რომელიც ჟენევაში გაიხსნა.

კონფერენციის მონაწილეთა მიერ მიღებული დეკლარაცია შეიცავს მოწოდებას მსოფლიოს ყველა ხალხისადმი გაერთიანდნენ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლაში.

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვს საერთაშორისო თათბირის მოწვევას შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდოეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესაშუშავებლად. რეზოლუცია მოითხოვს გაჩაღდეს კამპანია ატომური დაბომბვის მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრთა დახმარების ფონდში სახსრების შესაგროვებლად, აგრეთვე მოითხოვს იმ პირთათვის დახმარების გაწევის კანონის შემოღებას, რომლებმაც ატომური რადიაციის მოქმედება განიცადეს.

წინათ დასახული გეგმის თანახმად კონფერენციამ 15 აგვისტოს მუშაობა უნდა განაგრძოს ტოკიოში.

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის განცხადება

ვენა, 9 აგვისტო. (საკუთარი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა შემდეგი განცხადება:

„ეენევის თათბირის წარმატებამ, თათბირისა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის ახალ და ბედნიერ ეტაპს მოასწავებს, დიდი კმაყოფილება გამოიწვია ყველა ქვეყნის ხალხებში. მას სიხარულით შეხვდა ყველა, ვისაც სწამდა საზოგადოებრივი აზრის ძალა და დაუცხრომლად იბრძოდა იმისათვის, რომ ინფორმაცია მიეწოდებინა მისთვის და დახმარებოდა მას მტკიცედ გამოეთქვა თავისი მისწრაფება მშვიდობისადმი.

მშვიდობისათვის მოძრაობის მონაწილეები მით უფრო ღრმად განიცდიან ამ სიხარულს, რომ ისინი მთელი რიგი წლების მანძილზე თავიანთ ღონისძიებებს მთელ მსოფლიოში იმას ახმარდნენ, რომ მომხდარიყო ეს შეხვედრა, რადგან სწამდათ — ეს შეხვედრა ბრწყინვალედ დამტკიცებდა, რომ მშვიდობის ჭეშმარიტი გზა მოლაპარაკებაა და არა ძალის პოზიციის პოლიტიკა.

ეს თათბირი შეესაბამებოდა ხალხთა მისწრაფებას. მან იმტკიცა ჩაიარა წარმატებით, რომ მთავრობათა მეთაურებმა, რომლებიც პასუხს აგებენ ხალხის წინაშე თავიანთი სიტყვებისათვის, ანგარიში გაუწიეს ყველა მიმართულებისა და ყველა ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს, რომელიც აღარ ითმენს ცივ ომს და მოითხოვს ჭეშმარიტ მოლაპარაკებას.

უკანასკნელი თვეების ამბებმა — მშვიდობისათვის, ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მოძრაობის მსოფლიო კამპანიამ, მშვიდობისმოყვარე ძალების თანამშრომლობამ, რაც გამოვლინდა ჰელსინკის ასამბლეაზე, — უაღრესად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი აზრის ინფორმირებას და იმას, რომ მას გამოხატულების ეფექტიანი ფორმა მისცემოდა.

ეენევის თათბირი მოასწავებს დიდ ნაბიჯს ცივი ომის შეწყვეტის, მტრულ ბლოკებად მსოფლიოს დაყოფის შეწყვეტის გზაზე. ურთიერთნდობის სულისკვეთება თანდათანობით ცვლის რწმენის უქონლობას და ეჭვს. ამას ადასტურებს იმ დოკუმენტების პრეამბულა, რომლებიც ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა მისცეს საგარეო საქმეთა მინისტრებს თათბირისათვის, რაც ოქტომბერში გაიმართება. შექმნილია საერთაშორისო უთანხმოების მოწესრიგების ხელსაყრელი ვითარება, და ეენევის სულისკვეთება უნდა შთაგონებდეს მომავალ მოლაპარაკებას. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ იოლი ამოცანების შესრულება როდი მოგველის.

მთავრობათა მეთაურები ეენევაში შეთანხმდნენ საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი საერთო დირექტივების საკითხზე. მინისტრების თათბირი კი ახლა უნდა ეცადოს გამონახოს კონკრეტული გადაწყვეტილებანი. ასეთსავე მდგომარეობაშია საქმე განიარაღების პრობლემისა, რომლის შესწავლაც დავალებული აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების ქვეკომისიას. და დასასრულ, ეენევაში არ ყოფილა განხილული ისეთი საკითხები, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, როგორიც არის აზიის საკითხი, ჩინეთის ადგილისა და უფლებათა საკითხი, ატომგულის იარაღის აკრძალვის საკითხი. ეს გაურკვევლობა და დღის წესრიგის მეტად შეზღუდული ხასიათი ასახავს განსაკუთრებით დაძაბულ საერთაშორისო ვითარებას. არ შეიძლებოდა ამის მოლოდინი გვქონოდა, რომ საბედისწერო წარსულის ყველა შედეგი ერთბაშად გაქრებოდა, და ეენევის თათბირის დიდი დამსახურება სწორედ ის არის, რომ ასეთი საშიში ვითარების დროს მან შეძლო არსებულ პირობებში დაეწყო ხელსაყრელი მობრუნება მშვიდობის შენარჩუნებისაკენ.

უდავოა, რომ ყველა ქვეყნის ხალხთა მისწრაფებამ მშვიდობისადმი შესაძლებელი გახადა ამ თათბირის მოწყობა. უკვე მიღწეულმა დადებითმა შედეგებმა ახალი გაქანება უნდა მისცეს ხალხთა საქმიანობას.

საშიში წინდაუხედაობა იქნება ვიფიქროთ, რომ მძლავრი ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან ცივი ომის განგრძობით, და ყველა ისინი, ვისაც ხელი არ აუღია ჯვაროსნული ლაშქრობათა სულისკვეთებაზე, არ შექმნიან დაბრკოლებებს მშვიდობის გზაზე. ამ სიძნელეთა შეგნება მოითხოვს, რომ მშვიდობისათვის მოძრაობა განუწყვეტლივ და მუდმივ მზადი ენერგიით აჩაღებდეს თავის საქმიანობას.

ეგრეთწოდებული „ეენევის სულისკვეთება“ ის განწყობილებაა, რომელიც შეესაბამება საღ აზრის ქალთა და მამაკაცთა მისწრაფებას, რომელთაც სურთ მშვიდობიანად და ბედნიერად იცხოვრონ. მშვიდობისათვის ყველა ეროვნული მოძრაობა, რომლებიც მთლიანად შეადგენენ დიდ მსოფლიო მოძრაობას მშვიდობისათვის, ამ განწყობილების აქტიური გამოხატულებაა. ამიერიდან მათ მომავალშიც ცაორკეცებული ენერგიით უნდა მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებრივ აზრს, გაანიჩინონ უდიდესი სიფხიზლე, ყოველ ნაბიჯზე ამხილონ ყველა იმათი მანევრები, ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს მომავალი თათბირების წარმატებას. მშვიდობისათვის მოძრაობამ უნდა გააადვილოს ხელშეკრულების დამდები მხარეების ამოცანა, რომლებმაც გულწრფელად გადაწყვიტეს გამონახონ ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილებანი. მათ უნდა მოახდინონ იმ შეთანხმებათა პოპულარიზაცია, რომლებიც მიღწეულია მშვიდობისმოყვარე ძალების დიდ შეხვედრებსა ან ასამბლეებზე, როგორიც არის ჰელსინკის ასამბლეა, იმ პრობლემათა გადაჭრაში, რომლებზეც დამოკიდებულია მშვიდობის შენარჩუნება.

საზოგადოებრივ აზრს შეეძლებული აქვს, თუ რა სიძნელეები დგას ამოცანათა გადაჭრაში ხელშეკრულების დამდები მხარეების წინაშე და იცის, რომ ამ სიძნელეთა დაძლევას დრო სჭირდება. მაგრამ იგი ენერგიულ პროტესტს განაცხადებდა, თუ უკან დაიხევდნენ ეენევის თათბირზე მიღწეული დადებითი შედეგებიდან.

მოკლედ რომ ვთქვათ, სხვადასხვა ეროვნულმა მოძრაობამ ისე უნდა იმოქმედოს, რომ მომავალი მოლაპარაკების დროს იგრძნობოდეს ხალხთა მტკიცე და ნათელი ნება.

ამრიგად, სხვადასხვა ეროვნული მოძრაობის და ყველა იმის წინაშე, ვინც მშვიდობისათვის იბრძვის, დგას ნათელი ამოცანები: მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებრივ აზრს და გამოიჩინონ სიფხიზლე. მათ ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებრივი აზრის გამოვლინებას ისეთი ძალით, რომ ნამდვილად მიღწეულ იქნას შეთანხმება ატომგულის იარაღის, მოსახლეობის და საყოველთაო განიარაღების შესახებ, კოლექტიური უშიშროების სისტემის ორგანიზაციის შესახებ, გერმანიის გაერთიანების შესახებ, რომლითაც გარანტირებული იქნება გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების შეუძლებლობა, და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ. საზოგადოებრივი აზრი უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მტკიცედ და საკმაოდ ნათლად გამოთქვას აზრი იმ საკითხებზე, რომლებიც მას სამართლიანად განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია.

საქმე ეხება ატომგულის იარაღის მოსპობას, გერმანიის პრობლემას პარიზის შეთანხმებათა განხორციელების საფრთხესთან დაკავშირებით. ამ საკითხებს უნდა დაემატოს აზიისა და შორეული აღმოსავლეთის დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც ასახული არ არის საერთო დირექტივებში საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი.

ეს პრობლემები მოითხოვენ, რომ უკვე დაწყებული მოქმედება, ისეთი, როგორიც არის ეენევის მიმართთაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია, რომელიც ატომგულის იარაღს შეეხება, გაგრძელდეს და გაძლიერდეს.

ეროვნული მოძრაობანი კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით მოითხოვენ ურთიერთობის ნორმალიზაციას სხვადასხვა სახელმწიფოსა და ჩინეთს შორის და ამ დიდი ერის შესვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. საკმაოდ ცხადია, რომ უმისოდ ვერ გამოვნახავთ ვერც აზიის პრობლემების, ვერც საყოველთაო კონტროლდაქვემდებარებული განიარაღების პრობლემის გონივრულ და მტკიცე გადაწყვეტას.

მშვიდობისათვის მოძრაობა მუდამ წინაღმდეგი იყო სამხედრო ბლოკების პოლიტიკისა. იგი მუდამ მოითხოვდა თანამშრომლობას სახელმწიფოებს შორის. ამასთან დაკავშირებით მოღვაწეობას კოლექტიური უშიშროების სისტემის დამყარებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ექნეს ეროვნულ მოძრაობათათვის, მასზე დამოკიდებულია ჩამოთვლილ პრობლემათა უმრავლესობის გადაჭრა. კოლექტიური უშიშროების სისტემა იქმნება მშვიდობის პაქტების საფუძველზე, რომლებიც ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის, განურჩევლად მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისა; **იგი უპირისპირდება ბლოკების პოლიტიკას, რომელიც ქმნის მთელ რიგ საშიშ, ცალმხრივ სამხედრო პაქტებს;** იგი აღკვეთს ცივ ომს.

განიარაღება უშიშროების კონკრეტული გარანტიაა; განიარაღების შედეგად მიღებული ეკონომია საშუალებას მოგვცემს დიდად გავაუმჯობესოთ კაცობრიობის კეთილდღეობა.

ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი უკვე გაიმართა. მან კეთილსასურველი შედეგები მოიტანა. თავიანთი მოქმედების ეფექტიანობისადმი ახალი რწმენით ხალხები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მშვიდობისათვის ბრძოლაში დაწყებული ეტაპი ახალი დიდი გამარჯვებებით დამთავრდეს.

1955 წლის 8 აგვისტო“.

საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

შერიდანი (ვაიომინგის შტატი), 8 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის წევრებმა გოლუბაშმა, შევჩენკომ და ბაბმინდრამ გუშინ დაამთავრეს მეცხოველეობის დიდი მეურნეობების გაცნობა მდინარე ბიგ-ჰორნის ხეობაში ვაიომინგის შტატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

საბჭოთა დელეგატები ვაიომინგის შტატში ჩამოვიდნენ შტატის გუბერნატორ სიმპსონის მიწვევით, რათა გაეცნონ სამხრეთ-დასავლეთ მეცხოველეობას ამერიკის შეერთებული შტატების მთიან რაიონებში. 5 აგვისტოს დელეგატები თვითმფრინავით ჩავიდნენ ქალაქ ჯილეტში, სადაც მათ გულთბილად მიესალმნენ გუბერნატორის წარმომადგენელი, შტატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს მეთაური უილიამ ჩეპმენი, ქალაქ ჯილეტის მერი დენლი, აგრეთვე დაახლოებით 250 მეცხოველე და ფერმერი, რომლებიც შეიკრიბნენ ვაიომინგის შტატის საცდელ სადგურში ქალაქ ჯილეტის ახლოს. საუბრის დროს საბჭოთა დელეგატებმა უპასუხეს შტატის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სხვადასხვა კითხვებზე.

შემდეგ დელეგატები გაფრინდნენ ქალაქ შერიდანში, რომელიც მდებარეობს ვაიომინგის შტატისა და კანადის ინდოელთა რეზერვაციების ახლოს, სადაც დაესწრნენ სამდღიანი ფესტივალის გახსნას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების ინდოელთა ყველა ტომის წარმომადგენლებმა.

6 აგვისტოს საღამოს დელეგატებმა დაათვალიერეს დიდი რანჩო, რომლის ტერიტორიაც მათ გაატარა მეწველი პირუტყვის მოვლა.

საღამოს დელეგატები იყვნენ მეცხვარეობის დიდ მეურნეობა „გრიფსონი“ ქალაქ შერიდანის ახლოს და გაფრინდნენ ქალაქ მარეაპოლისში, სადაც იმყოფებიან საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის დანარჩენი წევრები.

ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება ჟენევაში

ჟენევა, 8 აგვისტო. (საკუთარი). ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების მონაწილეთა დღეგანდელი ღილის სხდომის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე:

„ორი ელჩი დღეს ერთმანეთს შეხვდა და განაგრძობდა დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას. ისინი შეთანხმდნენ, რომ შემდეგი სხდომა გაიმართება ოთხშაბათს, 10 აგვისტოს, დილის 10 საათზე.

ამისათვის, რომ გაქარწყლდეს მცდარი გაგება, რომელიც შეიძლება არსებობდეს წარმოებული მოლაპარაკების შესახებ, გადაწყდა გამოქვეყნდეს შემდეგი კომუნიკე დღეგანდლამდე წარმოებული განხილვის შესახებ:

„გარდა მოლაპარაკების დაწყებისას ელჩ ვან ბინ-ნანის განცხადებისა 11 ამერიკელი მფრინავის განთავისუფლების შესახებ, მოლაპარაკება დღემდე განისაზღვრებოდა შესაბამის ქვეყნებში სამოქალაქო პირთა დაბრუნების პრობლემით. ორმა ელჩმა ერთმანეთს გაუზიარა აზრები ამ საკითხის სხვადასხვა მხარის შესახებ.

ორი ელჩი შეთანხმდა, რომ თავს შეიკავებენ ყოველგვარი საჯაროო განცხადებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიღწეულ იქნა საერთაშორისო შეთანხმება ან მოხდა ამა თუ იმ მხარის წინასწარი შეტყობინება“.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალზე

ვარშავა, 8 აგვისტო. (საკუთარი). პოზნანში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში, რომელიც შედიოდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალის პროგრამაში. საბჭოთა ნიჩბოსნებმა მოიპოვეს შვიდი პირველი ადგილი და მიიღეს შვიდი ოქროს მედალი. პოლონეთის გუნდმა მოიპოვა სამი ოქროს მედალი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა — ორი ოქროს მედალი.

დამთავრდა შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. პირველი ადგილი და საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობათა ჩემპიონის წოდება მოიპოვეს საბჭოთა სპორტის წარმომადგენლებმა. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ბრენერმა — 168,72 ქულა. ქალთა შორის ყველაზე მეტი ქულა — 138,65 — მოაგროვა ჩუმიჩევამ.

რუსთავი. მეტალურგთა კულტურის სახლი. ამჟამად მშენებლები გადასული არიან შენობის შიგნითა მოწყობასა და გაფორმებაზე, რაც უახლოეს 1-2 თვეში უნდა დაამთავრონ.

ფოტო ა. ვართანოვისა.

როსტოვის თეატრის გასტროლები

თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა როსტოვის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი 150 კაცის შემადგენლობით.

რკინიგზის სადგურზე თეატრის კოლექტივს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, ფილარმონიისა და თბილისის თეატალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

თეატრის კოლექტივი თბილისში ჩამოვიდა სოხუმიდან, სადაც იგი გასტროლებზე იმყოფებოდა 16 ივლისიდან 3 აგვისტომდე. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა მაყურებელს უჩვენა 23 სპექტაკლი, აქედან 2 პარალელური სპექტაკლი გამართა სანატორიუმის დამსვენებელთათვის და ტყვარჩელის მშრომელებისათვის. გარდა ამისა, მოაწყო სამი საოპერეტო საღამო — გაგრაში, ახალ ათონში და სოხუმში რკინიგზელის საკავშირო დღესთან დაკავშირებით.

5 აგვისტოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში მუსიკალური კომედიით „თამბაქოს კაპიტანი“ (მუსიკა ბ. შჩერბაჩევისა, ტექსტი ნ. ადუევისა) დაიწყო თეატრის გასტროლები.

სპექტაკლის დამდგმელია ვ. ლენსკი, მხატვარი — ბ. დურაკოვი.

გასტროლების მეორე დღეს თეატრმა მაყურებელს უჩვენა კომპოზიტორ კ. ცელერის ოპერეტა „ფრინველის გამყიდველი“ (ტექსტი ე. გალპერინისი). სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს ი. გენინს, მხატვრობა — ი. არუთინიანს.

კვირას, 7 აგვისტოს დილით წარმოდგენილ იქნა „ფრინველის გამყიდველი“, ხოლო საღამოს ი. შტრაუსის ოპერეტა „ღამურა“, რომლის დადგმა ეკუთვნის ვ. ლენსკის, მხატვრობა — ბ. დურაკოვს. სპექტაკლებს დირიჟორობდა ვ. ბელიცი, ბალეტმეისტერები — ე. სეკერინსკი და ლ. ლეონიდოვი.

გუშინ თეატრმა მაყურებელს უჩვენა „ღამურა“. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ თეატრის წამყვანი მსახიობები — რსფსრ დამსახურებული არტისტი ვ. რეკოვა, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტები ა. ალეგროვი და ვ. გორბაჩოვა, მსახიობები ფ. ბელიაევი, ლ. ბრიანსკი, ა. ბრაგინი, ა. ვეტროფი, ე. ვოლშანსკაია, ა. გორელიკი, ბ. დალი, ვ. ფიგაგო, ო. ზუბარევი, გ. კაპანიცინი, ე. კაბაროვა, ნ. მალსკაია, პ. ნიკიფოროვი, ა. სერგეევა, ს. სოსნოვსკაია, ა. შილინი, ბალეტის მსახიობები ე. კოვალენკო, ე. კუზმინი, ტ. მაკუშკინა, ა. სულიმა და სხვ.

სპექტაკლები, რომლებსაც ყოველდღე მრავალი მაყურებელი ესწრება, თბილისელთა მოწონებით სარგებლობს.

დღეს საღამოს თეატრი მაყურებელს უჩვენებს კომპოზიტორ ე. კალმანის მუსიკალურ კომედია „მარიცას“ (ტექსტი ლ. ზახაროვისა და ე. გერკენისა).

თეატრის გასტროლები თბილისში 25 სექტემბრამდე გასტანს.

ბ. ძნელაძე.

ჭაბუკ ფეხბურთელთა ზონალური შეჯიბრება

რამდენიმე ხნის წინათ დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება. ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივები, რომლებიც დაყოფილი იყვნენ სამ ზონად (ფრუნზე, კაუნასი, გროზნო).

მესამე ზონის შეჯიბრებებში, რაც გროზნოში ჩატარდა, მონაწილეობდნენ საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები, რსფსრ, აზერბაიჯანის, ლატვიის, თურქმენეთისა და თბილისის თეატალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

თეატრის კოლექტივი თბილისში ჩამოვიდა სოხუმიდან, სადაც იგი გასტროლებზე იმყოფებოდა 16 ივლისიდან 3 აგვისტომდე. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა მაყურებელს უჩვენა 23 სპექტაკლი, აქედან 2 პარალელური სპექტაკლი გამართა სანატორიუმის დამსვენებელთათვის და ტყვარჩელის მშრომელებისათვის. გარდა ამისა, მოაწყო სამი საოპერეტო საღამო — გაგრაში, ახალ ათონში და სოხუმში რკინიგზელის საკავშირო დღესთან დაკავშირებით.

5 აგვისტოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში მუსიკალური კომედიით „თამბაქოს კაპიტანი“ (მუსიკა ბ. შჩერბაჩევისა, ტექსტი ნ. ადუევისა) დაიწყო თეატრის გასტროლები.

სპექტაკლის დამდგმელია ვ. ლენსკი, მხატვარი — ბ. დურაკოვი.

გასტროლების მეორე დღეს თეატრმა მაყურებელს უჩვენა კომპოზიტორ კ. ცელერის ოპერეტა „ფრინველის გამყიდველი“ (ტექსტი ე. გალპერინისი). სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს ი. გენინს, მხატვრობა — ი. არუთინიანს.

დაიხურა სანიტარული კულტურის თეატრის სეზონი

სანიტარული კულტურის თეატრმა ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში 4-5 აგვისტოს თბილისელ მაყურებელს უჩვენა სეზონის უკანასკნელი პრემიერა — შ. ნარსიას კომედია „დაგვიანებული სპპატარძლო“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. გომიაშვილს, მხატვრობა — კ. ნინოძეს.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. მელიქიშვილი, აპარის სსრ დამსახურებული არტისტი ა. სარჯველაძე, მსახიობები ქ. მჭედლიშვილი, ზ. ბერძენიშვილი, ლ. კობულაძე, დ. კაკაძე, ვ. ადვაძე, შ. კიკნაძე, შ. ნარსია, ც. მჭედლიშვილი, ვ. ტომარაძე, ი. როსტიაშვილი და ვ. გოზალიშვილი.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს კლინიკური ორდინატორის ორი ვაკანტური თანამდებობის (ინფექციური სნეულებანი — ერთი, ფტიზიატრია — ერთი) დასაკავებლად და ორი ასპირანტის ადგილზე — ერთი პედიატრიისა